

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

### წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 30 აპრილის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N10);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში






შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

## შინაარსი

1. გავრცელების სფერო .....	5
2. ნორმატიული მითითებები .....	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები .....	5
4. ზოგადი დებულება .....	7
5. ხარისხის სამსახურის საქმიანობის სფერო, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები .....	9
6. ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელობა .....	11
7. დასკვნითი დებულება .....	11
8. შემოწმება და კონტროლი .....	12
9. კინფიდენციალურობა .....	12
10. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი .....	13
11. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი .....	14
12. შეთანხმების ფურცელი .....	15



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დეპარტამენტი

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

**1. გავრცელების სფერო**

1. არსებული დებულება ადგენს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონალურ თანმიმდევრობას და ვრცელდება ამ განყოფილების თანამშრომლებზე;
2. დებულება შემუშავებულია შემდეგი მიზნებისათვის:
  - გამოყენებული იქნას შპს ბუსსს ანრის თანამშრომელთა მიერ სამუშაო პროცესში;
  - გამოყენებული იქნას იმ პირების მიერ რომლებიც ახორციელებენ შპს ბუსსს ანრის დოკუმენტების შემუშავებას, ანალიზს, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, შეთანხმებას, გადახედვას და განახლებას ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.
  - გამოყენებული იქნას იმ პირების მიერ რომლებიც ახორციელებენ საქმეთა შემოწმებას შპს ბუსსს ანრის მომსახურების პროცესის დროს.
  - გამოყენებული იქნას იმ პირების მიერ რომლებიც ახორციელებენ პედაგოგიური პერსონალის მუშაობის შემოწმებას სასწავლო პროცესის დროს.
  - გამოყენებული იქნას ხმს-ის უდიტორების მიერ.
3. დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), ელექტრონული ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
4. არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

**2. ნორმატიული მითითებები**

2.1 არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:


1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (№688 რს მუხლი 25);
4. ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები;
5. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
6. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
7. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების, დანერგვისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა;
8. ნდ 2-0201-02- დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის, დოკუმენტალური უზრუნველყოფის პროცესის პროცედურა.

**3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები**

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

**3.1 ტერმინები, განმარტებები**

1. **ნორმატიული დოკუმენტი**, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დეპარტამენტი

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

3. **დებულება** - განყოფილების სტატუსის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია განყოფილების მუშაობის მიმართულებები და ფუნქციები, უფროსის და თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების თანდართვით.
4. **შეუსაბამობა** - დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.
5. **მნიშვნელოვანი შეუსაბამობა** - დადგენილი მოთხოვნების ან ხარისხის სახელმძღვანელოს რომელიმე პუნქტის მოპოვების სისტემატიური შეუსრულებლობა, ასევე იმ პროცესების შეუსრულებლობა რომელთა სისტემატიური სახეც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შპს „ბუსსს ანრი“-ს პროდუქციის/მომსახურების ხარისხზე და რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ მაკორექტირებელ მოქმედებებს. შეუსაბამობების აღმოფხვრის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.
6. **უმნიშვნელო შეუსაბამობა** - განისაზღვრება როგორც ხ.ც-ის მოთხოვნების გარკვეული პუნქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, გამოტოვება, ან კიდევ ადგილი აქვს რომელიმე პროცედურაში მოცემული ერთი რომელიმე პუნქტის/თავის შეუსრულებლობას. თუკი მოხდება ასეთი რამოდენიმე შეუსაბამობის აღმოჩენა ერთსა და იმავე პროცედურასთან მიმართებით მაშინ შეუსაბამობა შეიძლება გაფორმდეს როგორც მნიშვნელოვანი. უმნიშვნელო შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.
7. **მაკორექტირებელი მოქმედებები** - მოქმედება მიმართული აღმოჩენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად რათა არ მოხდეს მისი ხელახლა აღმოჩენა.
8. **შეუსაბამო მომსახურება** - მომსახურება რომელიც არ შეესაბამება შპს „ბუსსს ანრი“-ს მოთხოვნებსა და მეზღვაურთა მომზადების საერთაშორისო და ნაციონალურ, სტანდარტებს.
9. **შეუსაბამო მომსახურების მართვა** - შეუსაბამო მომსახურების თავიანთ აცილებისათვის მიმართული მოქმედებები.
10. **პროდუქცია/მომსახურება** - მოქმედების ან პროცესის რეზულტატი.
11. **ფუნდამენტალური პროცედურა** - პროცედურა რომელშიც აღწერილია სტუდენტების, მეზღვაურების, მსმენელების მომზადების პროცესები.
12. **სტუდენტი** - შპს ბუსსს ანრის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირები.
13. **მსმენელი** - შპს ბუსსს ანრის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში კურსებზე ჩარიცხული მოქმედი და მომავალი მეზღვაურები
14. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
15. **საგანმანათლებლო პროგრამა** - უმაღლესი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები
16. **მოსამზადებელი პროგრამა** - მეზღვაურთა მომზადება/გადაამზადება, სერტიფიცირების პროგრამები

**3.2 შემოკლებები**

1. **შპს ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**)
2. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
4. **მფ**-მოქმედი ფორმა
5. **IMO** - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
6. **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დეპარტამენტი


*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

**4. ზოგადი დებულება**

4.1 შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს სპეციალიზირებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც უზრუნველყოფს საქმეთა ორგანიზაციას შემდეგი მიმართულებებით:

1. ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, შენარჩუნება და სრულყოფა;
2. შპს ბუსსს ანრის უზრუნველყოფა საჭირო ნორმატიული დოკუმენტებით, დოკუმენტთა ფონდის შექმნა;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;
4. ხარისხის სისტემატური შეფასება, სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და განხორციელება;
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევების შეფასების წესის შემუშავება;
6. სტუდენტების სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ჩართულობა;
7. სასწავლებლის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
8. შპს ბუსსს ანრის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
9. თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლისა გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
10. სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციების, წესების, დადგენილებების, ბრძანებების შემუშავების ორგანიზება და კოორდინირება;
11. შპს ბუსსს ანრის საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების, სტანდარტების და ა.შ. შესრულების კონტროლი;
12. საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგის შედეგად ფაკულტეტისა და სენატისთვის რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;
13. მონაწილეობა აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში;
14. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების წარმოდგენა ფაკულტეტის, სენატის წინაშე საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;
15. სტუდენტების / მსმენელების გამოკითხვის კითხვარების შემუშავების ორგანიზება და კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა;
16. სტუდენტების / მსმენელების სისტემური გამოკითხვის და გამოკითხვის შედეგების დამუშავების ორგანიზება;
17. კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, კურიკულუმის შემუშავებასთან, ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;
18. საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესის ორგანიზება;
19. ადმინისტრაციული (დამხმარე) პერსონალის საქმიანობის შეფასების კითხვარის შემუშავების ორგანიზება და კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა;
20. ინსტრუქციური აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის თანდართული დოკუმენტაციის მომზადების ორგანიზება;






შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დეპარტამენტი

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

21. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების ორგანიზება;
22. საწვრთნელი პროგრამების აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების ორგანიზება;
23. კომპეტენციის ფარგლებში შპს ბუსსს ანრის სენატის დადგენილებებისა და შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ან/დარექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების პროექტების მომზადება;
24. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის კოორდინირება;
25. შპს ბუსსს ანრის წესდებით, გენერალური დირექტორის ან/და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით, შპს ბუსსს ანრის სენატის დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.
- 4.2 ხარისხის სამსახური წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოს. იგი თავისი კომპეტენციის სფეროში მმართველობის განსახორციელებლად ხელმძღვანელობს შპს ბუსსს ანრის საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სასწავლებლის წესდების, ბრძანებების, გადაწყვეტილებებისა და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე.
- 4.3 ხარისხის სამსახური ანგარიშვალდებულია შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორისა და სენატის წინაშე. ის გეგმავს შემდეგი დოკუმენტებისა და პროექტების წარდგენას:
  1. შპს ბუსსს ანრის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, პროცედურა, ინსტრუქცია, წესი და ა.შ.
  2. საბაკალავრო და პროფესიული განათლების პროგრამების მომზადება.
  3. საბაკალავრო და პროფესიული განათლების პროგრამებში ცვლილებების შეტანა.
  4. საბაკალავრო და პროფესიული პროფესიული განათლების პროგრამების შეფასების ფორმა და კრიტერიუმები.
  5. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარების წესი.
  6. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის პროგრამების მომზადება.
  7. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის პროგრამებში ცვლილებების შეტანა.
- 4.4 ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს სწავლებისა და შეფასების მაღალი ხარისხის თანამედროვე მეთოდების (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, მოდულები, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების და ა.შ) დანერგვის გზით და აკრედიტაციის, აღიარების პროცესისათვის აკეთებს თვითშეფასებას.
- 4.5 ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი. რომელიც თანამებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ.
- 4.6 ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უშუალოდ ექვემდებარება ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის და პასუხს აგებენ ხარისხის სამსახურის წინაშე მისიის, მიზნების, პოლოტიკისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფაზე.
- 4.7 ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში ასევე შედის ხმს სპეციელისტები:
  - განათლების ხარისხის სპეციალისტი და
  - მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციელისტი
- 4.8 ხარისხის მართვის უზრუნველყოფისათვის ყოველივე მათგანი ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს თავიანთი ფუნქციონალური მოვალეობების (თანამდებობრივი ინსტრუქციების) მიხედვით, რომლებსაც ამტკიცებს შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დეპარტამენტი

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

4.9 ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის საშტატო განრიგი შემოიფარგლება ზემოაღნიშნული საშტატო ერთეულებით. კონკრეტული პროექტის განხორციელებისათვის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება მოითხოვოს მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე დამატებითი პერსონალის აყვანა.

**5. ხარისხის სამსახურის საქმიანობის სფერო, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები**


**5.1 საქმიანობის სფერო**

- 1) ხარისხის სამსახური არის ხარისხიანი სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროში სასწავლებლის ერთიანი პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. (საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამსახური ახორციელებს მის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს), ის უზრუნველყოფს სასწავლებელში სწავლების ხარისხის სრულყოფას.
- 2) სამსახურის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება სასწავლებლის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე პესონალის კვალიფიკაციისა და ხარისხის სისტემატური შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება.
- 3) სასწავლო პროცესის ხარისხის განმსაზღვრელი თანამედროვე კრიტერიუმების დამუშავება, დანერგვა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მუდმივი მონიტორინგი. ბაკალავრიატისა და უმაღლესი პროფესიული განათლების სტუდენტთა ახალი შეფასების კითხვარების შემუშავება, რომელიც შეეხება სასწავლო კურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სასწავლო პროცესს.
- 4) საგანმანათლებლო სასასწავლო პროგრამების, კურიკულუმების, მუდმივი სრულყოფის კოორდინაცია, რაც გულისხმობს პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და რეკომენდაციების შემუშავებას მათი გაუმჯობესებისათვის.
- 5) სასწავლებლის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას შემდეგ საკითხებზე: ახალი საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული განათლების, მეზღვაურების მომზადების (სერტიფიცირების) პროგრამების შემუშავება, საგანმანათლებლო და მოსამზადებელი პროგრამებში ცვლილებების შეტანის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შემოღება და დანერგვა.
- 6) პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შიდა სამუშაო კონფერენციების და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება.
- 7) სასწავლებლის სხვა სამსახურებთან ერთად მონაწილეობის მიღება პერსონალის დაკომპლექტებაში, დატვირთვის რეგულირებაში, სტუდენტთა მობილობისა და ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერების ევროპული სისტემა) სისტემის სწორი გამოყენების რეგულაციაში.

**5.2 მიზნები**

- 1) ხარისხის სამსახურის მიზანს წარმოადგენს დანერგილი ხმს შენარჩუნება, გაუმჯობესება და სრულყოფა.
- 2) შპს ბუსსს ანრის საქმიანობაში, კერძოდ ბაკალავრიატისა და უმაღლესი პროფესიული განათლების სტუდენტთა, მეზღვაურთა მომზადება/გადამზადების პროცესის უზრუნველყოფა ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.
- 3) სასწავლებელში ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად თანამშრომლობა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან, განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და სხვა ზემდგომ ინსტანციებთან.





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

- 4) ინტერნაციონალიზაციის საქმიანობის გადრმავება;
- 5) კვლევითი და სამეცნირო საქმიანობის გაძლიერება;
- 6) ხარისხის სამსახური ორგანიზაცია უწევს პროგრამული აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას, საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესს.
- 7) ხარისხის სამსახური ორგანიზაცია უწევს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობას, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას, სასწავლებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესს.
- 8) ხარისხის სამსახური ორგანიზაცია უწევს წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას, საწვრთნელი როგრამების პროგრამული აღიარების (ჩარჩო-დოკუმენტი) სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესს.
- 9) სასწავლებლის წესდებით განსაზღვრული წესით ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო და საწვრთნელი პროგრამებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებას და წარუდგენს განსახილავად შპს ბუსსს ანრის სენატს და დასამტკიცებლად გენერალურ დირექტორს ან/და რექტორს.
- 10) საგანმანათლებლო და საწვრთნელი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს მათ პერიოდულ მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
- 11) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციას და განსახილავადა წარუდგენს შპს ბუსსს ანრის სენატს, დასამტკიცებლად გენერალურ დირექტორს ან/და რექტორს
- 12) უზრუნველყოფს შპს ბუსსს ანრის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.


**5.3 მოზნები მიღწევადა შემდეგი ამოცანების შესრულებით:**

- 1) ხმს-ის დანერგვა, მოქმედებაში შენარჩუნება, სრულყოფა/გაუმჯობესება.
- 2) მისიის, პოლიტიკისა და მიზნების შესრულების მიზნით შპს ბუსსს ანრის სტრუქტურის შემუშავება და მოქმედებაში მოყვანა.
- 3) შიდა წესების, პროცედურების, ინსტრუქციების, დებულებების, სასწავლო პროგრამების შემუშავება, გადამუშავება/გადახედვა გაუმჯობესება, შესრულება და დანერგვის უზრუნველყოფა საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით.
- 4) შპს ბუსსს ანრის მიერ შესრულებული მუშაობის მარკეტინგისა და მომსახურების სისტემატიური დაგეგმვა.
- 5) დოკუმენტებისა და მონაცემების მართვა, აქტუალიზირებული გამოცემების გამოყენება.
- 6) სამუშაო პროცესისა და მომსახურების იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა.
- 7) შეუსაბამო მომსახურების მართვა.
- 8) ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის ჩატარება.

**5.4 ხარისხის მართვის სამსახური ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:**

ხარისხის შენარჩუნებისა და სრულყოფისათვის:

- 1) ხარისხის სტანდარტების დანერგვისა და სრულყოფისათვის სამუშაოების ორგანიზება
- 2) ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვა, შესრულება, მონიტორინგი
- 3) მეზღვაულტა წვრთნისა და სერტიფიცირების სტანდარტების დანერგვა, შესრულება, მონიტორინგი
- 4) მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების სრულყოფისათვის წინადადებების მომზადება
- 5) ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმებების ჩატარება
- 6) ხარისხის სტანდარტების მიერ დადგენილი შეუსაბამო მომსახურების ფაქტების აღმოჩენა  
– ყოველდღიურ საქმიანობაში (მოღვაწეობაში)



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დეპარტამენტი

Regulation for the Quality Development and Assurance Department

– ხმს შიდა შემოწმებების დროს

- 7) აღმოჩენილი შეუსაბამომების აღმოფხვრითი სამუშაოების დაგეგმვა და შესრულება
- 8) პრეტენზიების, საჩივრებისა და აპელაციების აღრიცხვა და ანალიზი
- 9) უოველწლიური ანალიზის ჩატარება და გაფორმება დოკუმენტის სახით
- 10) მოქმედი დოკუმენტების ფონდის შექმნა და აქტუალიზაცია მუშაობის პროცესში
- 11) წლიური და სტრატეგიული გეგმების შედგენა და მათი აქტუალიზაციის კონტროლი
- 12) პერსონალის გაცნობა ხარისხის დოკუმენტებთან
- 13) ორგანიზაციის მომზადება და წარდგენა ხ.მ.სისტემის შიდა და გარე აუდიტორებისათვის
- 14) მარკეტინგულ სამუშაოებში მონაწილეობის მიღება

## 6. ხარისხის სამსახურის პერსონალი

### 1. ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ, უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება, ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება, უნდა შეეძლოს ხარისხის მართვის კონტროლი და ზედამხედველობა. უნდა იცოდეს ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები, საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ, „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწვევის შესახებ“ (STCW) საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნები, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნები.

ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილია ფ/მ 2-010201/01-ში.

### 2. განათლების ხარისხის სპეციალისტი

განათლების ხარისხის სპეციალისტი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, სასწავლო დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები, კანონები უმაღლესი და პროფესიული განათლების შესახებ. შიდა აუდიტის ჩასატარებლად უნდა ჰქონდეს ხარისხის სისტემის შიდა აუდიტორის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

განათლების ხარისხის სპეციალისტის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილია ფ/მ 2-010201/17-ში.


### 3. მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, სასწავლო დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი, „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწვევის შესახებ“ (STCW) საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნები, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნები, საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ. შიდა აუდიტის ჩასატარებლად უნდა ჰქონდეს ხარისხის სისტემის შიდა აუდიტორის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილია ფ/მ 2-010201/18-ში.

## 7. დასკვნითი დებულება

- 1) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია შპს ბუსსს ანრის სენატის და გენერალური დირექტორი წინაშე.
- 2) ყოველი წლის ბოლოს ამზადებს ხმს ანალიზს, რომელსაც წარუდგენს სენატს და გენერალური დირექტორს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for the Quality Development and Assurance Department*

---

- 3) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ნებისმიერ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი სასწავლებლის ყველა სტრუქტურისათვის, მისი შესრულება წარმოადგენს სასწავლებლის საქმიანობის წარმატებით განხორციელების წინაპირობას.

**8. შემოწმება და კონტროლი**

- 1) წინამდებარე დებულების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი.
- 2) დებულების შემოწმება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტორების მიერ შემოწმებების დროს.

**9. კონფიდენციალურობა**

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.

